დანართი 1. საპროექტო იდეის განაცხადის ფორმა

საპროექტო იდეის სახელწოდება	*მიუთითეთ წარმოდგენილი პროექტის მოკლე სახელწოდება მის შინაარსზე მითითებით* ქალაქ ოზურგეთის ცენტრალური უბნის (რკ. სადგურის მიმდებარე ტერიტორია) ურბანული განახლება;
სრიგპ-სთან შესაბამისობა	*გთხოვთ, მიუთითოთ სრიგპ-ს პრიორიტეტის და ღონისძიების (ქვე-ღონისძიების) დასახელება და ნომერი, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია თქვენი საპროექტო იდეა, კერძოდ:* პრიორიტეტი 1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე: ქვე-ღონისძიება 1.1. ა - „რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაცია“; ქვე-ღონისძიება 1.1 ბ.- რეგიონული ცენტრის, როგორც ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარება;
საპროექტო იდეის წარმდგენი	*მიუთითეთ საპროექტო იდეეს ოფიციალური წარმდგენი* ***ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია***
	ერთობლივი პროექტების შემთხვევაში, მიუთითეთ ძირითადი და პარტნიორი მუნიციპალიტეტ(ებ)ი: ***არ შეესაბამება***
	გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის მისამართი: ***ქ. ოზურგეთი, კოსტავას #1***
	გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის ელ.ფოსტა: Meriaozurgeti2018@gmail.com
განხორციელების ადგილი	*რეგიონი:* ***გურიის რეგიონი***
	მუნიციპალიტეტი: ***ოზურგეთი***
	იმ ქალაქის/ები, სოფელის/ების ჩამონათვალი (თუ ერთზე მეტში ხორციელდება გააკეთეთ სრული ჩამონათვალი) არ შეესაბამება
პროექტის მიზანი/მიზნები	*გთხოვთ, დააკონკრეტოთ პროექტის სტრატეგიული და კონკრეტული მიზნები* სტრატეგიული მიზანი: • ქალაქ ოზურგეთის, როგორც რეგიონული ურბანული ცენტრის სოციალურ-ეკონომიკური როლის გაძლიერება; • ქალაქ ოზურგეთის მიმზიდველობის გაზრდა ინვესტიციების განხორციელებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის;

	კონკრეტული მიზანი: • ქალაქ ოზურგეთის ცენტრალურ უბანში პარკირების ადგილების მშენებლობა-მოწყობა და ქვეითთა ზონების მოწყობა; • დოლიძის და ბოლქვაძის ქუჩაზე საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, მრავალბინიანი შენობების განახლება, სათამაშო და დასასვენებლი მოედნების მოწყობა;
მოსალოდნელი შედეგები	*ჩამოთვალეთ მოსალოდნელი შედეგები ორ ტიპად, შედეგები უნდა შეესაბამებოდეს პროექტის მიზნებს.* <u>პროექტის გრძელვადიანი შედეგი:</u> • გაზრდილია ქ. ოზურგეთის, როგორც ურბანული ცენტრის, სოციალურ-ეკონომიკური როლი; • მოსახლეობას გაუუმჯობესდა ცხოვრების პირობები; • გაზრდილია ქ. ოზურგეთის მიმზიდველობა ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისათვის როგორც ტურისტულად, ასევე ახალი ინვესტიციების განხორციელების მიმართულებით; <u>პროექტის მყისიერი შედეგი:</u> • ქ. ოზურგეთის დოლიძის და ბოლქვაძის ქუჩებზე რეაბილიტირებულია ტროტუარი, ბორდიული და საგზაო გადასასვლელი; • დოლიძის და ბოლვაძის ქუჩაზე მოწყობილია დასასვენებელი სკვერი და ბავშვთა სათამაშო მოედანი; • ქ. ოზურგეთის რკ. სადგურის მიმდებარედ 8 ერთეული კერძო ბიზნესის წარმომადგენლების მხარდაჭერის მიზნით მოწესრიგებულია ფასადი; • მრავალბინიანი კორპუსებისათვის რეაბილიტირებულია ფასადი; • ქალაქის ცენტრალურ უბანში მოწყობილ;ია 90 ცალი გარე განათების ლამპიონი;
საპროექტო იდეის აღწერა/დასაბუთება	*გთხოვთ, დაასაბუთოთ თუ რატომ უნდა განხორციელდეს ეს პროექტი.* *დასახელეთ ის პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ემსახურება პროექტის განხორციელება, ან პოტენციალი, რომელიც შეიძლება განვითარდეს პროექტის განხორციელებით. გთხოვთ, მაქსიმალური მითითება გააკეთოთ არსებულ რეგიონების განვითარების სტრატეგიებზე, ადგილობრივი განვითარების ეკონომიკურ გეგმებზე, სხვა შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებზე ან პირდაპირ-სრიგპ-ში მოცემული შესაბამისი ღონისძიების აღწერაზე:* მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ქალაქის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, ტროტუარების, სკვერების რეგისტრაცია, რის შემდეგ დაიწყება ქალაქის განაშენიანების გეგმის მომზადება. წარმოდგენილი პროექტი ხელს უწყობს დაგეგმილი ქალაქის განაშენიანების გეგმის მომზადების პროცესს; ქ. ოზურგეთში სახელმწიფო პროგრამა "განახლებული რეგიონების" ფარგლებში დაგეგმილია კულტურისა და დასვენების პარკის და მიმდებარე მოედნის რეაბილიტაცია. სწორედ მოედნის გაგრძელებას, რკინიგზის სადგურის და თეატრალური მოედნის მიმართულებით, წარმოადგენს დოლიძის და ბოლქვაძის ქუჩები, რომლის სიგრძეა 600 მეტრი. ქუჩაზე განლაგებულია: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, კერძო მოსახლეები, სპორტული დარბაზი და მოედანი, საოლქო-საარჩევნო კომისია, განათლების რესურსცენტრი, სურსათის ეროვნული სააგენტოს ოფისი, რკინიგზის სადგური, მცირე ბიზნესის წარმომადგენლები. ქუჩა წარმოადგენს ურეკი-შეკვეთილის მხრიდან ქალაქის ცენტრში შემოსასვლელ გზას, სადაც ყოველწლიურად მრავალი ადგილობრივი თუ უცხოელი ვიზიტორი, სტუმარი გადაადგილდება. ქუჩა საჭიროებს რეაბილიტაციას: მოძველებულია

	ბორდიულები, ნაწილობრივ მოქმედებს ტროტუარები, მრავალბინიანი სახლების ფასადები საჭიროებს ბეტონით სამუშაოებს და ღებვას, რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე საჭიროა ტაქსის და სამგზარავო ავტოტრანსპორტის პარკირების ადგილების მოწყობა და არსებული მცირე ბიზნესის ობიექტების ფასადის შეკეთება. ძირითადი პრობლემები, რაც ხელს უშლის ადმინისტრაციული ცენტრის ურბანულ განვითარებას: • ურბანული ტერიტორიების დაბალი ინტეგრაცია - ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე საჭიროა საგზაო უსაფრთხოების ზომების მიღება, რაც ითვალისწინებს პარკირების ადგილების მოწყობას, ქვეითთა ზონების მოწყობას; • ეკონომიკური და კულტურული მიზიდულობის მქონე არეალად რეგიონული ცენტრის გარდაქმნის დაბალი ტემპი - საჭიროა საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ქუჩებისა და მიმდებარე შენობების განახლება, ბავშვთა სათამაშო და დასასვენებელი მოედნების მოწყობა; • დაბალია რეგიონული ცენტრის მიმზიდველობა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან - საჭიროა მუნიციპალიტეტის მხრიდან კერძო სექტორის მხარდაჭერა ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს მათ გააქტიურებას და შემოსავლების ზრდას; პროექტის განხორციელებას დიდი გავლენა ექნება რეგიონალურ განვითარებაზე, გარდა ადგილობრივი მოსახლეობისა, განახლებული რეგიონალური ცენტრით ისარგებლებს მრავალი ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორი, რომლებსაც გაუმარტივდებათ ხელმისაწვდომობა რეგიონულ ცენტრებზე, ისარგებლებს ეკონომიკური და კულტურული ლოკაციებით, რაც გაზრდის რეგიონის ცნობადობას და მიმზიდველობას.
ძირითადი აქტივობები	*გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად და ჩამოთვალეთ ის სამუშაოები ან მომსახურებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა დაფინანსდეს:* ***პროექტის განსახორციელებლად დაგეგმილია შემდეგი აქტივობების გატარება:*** ***აქტივობა 1 სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და გამარჯვებულის გამოვლენა;*** *1.1 სატენდერო დოკუმენტაციის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმება;* ***1.2*** *ელექტრონული ტენდერის გამოცხადება - 21 კალენდარული დღის ვადით;* ***1.3*** *ტენდერის შედეგად გამარჯვებულის გამოვლენა და ხელ-ბის გაფორმება* ***აქტივობა 2 საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სამუშაოების წარმოება;*** *2.1 ტროტუარების და არხის მოწყობა;* *2.2 გზისპირა ბორდიულების და საგზაო გადასასვლელების მოწყობა;* *2.3 საბავშვო სათამაშო და დასასვენებელი პარკის მოწყობა;* *2.4 მრავალბინიზნი სახლების ფასადის რემონტი და შეღებვა;* *2.5 რკინიგზის სადგურის მოედნის მოწყობა;* *2.6. გარე განათების მოწყობა;* *2.7. ასფალტის საფარის მოწყობა.* ***აქტივობა 3 სამუშაოების მონიტორინგი და შეფასება;*** *3.1 პერიოდული მონიტორინგი პროექტის მიმდინარეობისას (კვირაში 2-ჯერ);* *3.2 მონიტორინგის ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება, მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება (ყოველთვიურად);* *3.3 საექსპერტო ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის თანახმად საბოლოო სამუშაოს ჩაბარება;* *3.4. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერა;* ***აქტივობა 4 ანგარიშის მომზადება-პროექტის დახურვა*** *4.1 პასუხისმგებელი პირის მიერ ანგარიშის მომზადება;*

	4.2 პროექტის დახურვის პრეზენტაცია;
პროგრამისთვის/ ღონისძიებისთვის განსაზღვრულ კონკრეტულ ინდიკატორებში პროექტის მონაწილეობის (წვლილის) დონე	*გთხოვთ, აღწეროთ თუ როგორ უწყობს ხელს პროექტი პროგრამის/ღონისძიებისთვის დადგენილი კონკრეტული ინდიკატორების მიღწევას:* საბოლოო შედეგის ინდიკატორები: • გაზრდილია ადმინისტრაციული ცენტრის სოციალური და ეკონომიკური მიმზიდველობა (ახალი სოციალური და ეკონომიკური ობიექტების რაოდენობის ზრდა მოხდება 50%-ით); • გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის და უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტორების მხრიდან მიმზიდველობა ქალაქის ცენტრალური უბნისაკენ (რეკრეაციული და ბავშვთა გასართობი სივრცის გამოყენების ინტენსივობა); - გაუმჯობესებულია ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობები (ადგილობრივი მოსახლეების გამოკითხვა); მყისიერი შედეგის ინდიკატორები: • რკ. სადგურის ტერიტორიაზე გაზრდილია მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილების შესაძლებლობა (ფეხით მოსიარულეთა აქტიურობის ზრდა); • მრავალბინიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას (მოსახლეობის გამოკითხვა); • ადგილობრივი ბიზნესის მხარდასაჭერად მოწყობილია გაუმჯობესებული საქმიანი გარემო (კერძო ბიზნესის გამოკითხვა);
ურთიერთშევსებადობა	*გთხოვთ, მიუთითოთ, ეს პროექტი წარმოადგენს თუ არა სხვა წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების გაგრძელებას/გაფართოებას.* *გთხოვთ, აღწეროთ, არის თუ არა ეს პროექტი ინტეგრირებული ხასიათის - ანუ ის დაკავშირებულია თუ არა სხვა პროექტებთან ან არის თუ არა უფრო ფართო გეგმის (მაგალითად, რეგენერაციის გეგმის, სატრანსპორტო გეგმის, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის და ა.შ.) განხორციელების ნაწილი. თუ ეს ასეა, გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია განხორციელების წყაროს, ღირებულებისა და დროის შესახებ:* სახელმწიფო პროგრამა "განახლებული რეგიონები" ფარგლებში, ქ. ოზურგეთში მიმდინარეობს კულტურისა და დასვენების პარკის და მიმდებარე მოედნის რეაბილიტაცია. მომზადებული პროექტი წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული ტერიტორიის გაგრძელებას. შედეგად: ქ. ოზურგეთის ერთ-ერთი ცენტრალური უბნის რეაბილიტაცია სრულად მოხდება.
პროექტის მდგრადობა	*გთხოვთ, დაასახელოთ ვინ აანაზღაურებს საექსპლუატაციო და მიმდინარე ხარჯებს პროექტის დასრულების შემდგომ? გთხოვთ, დაასახელოთ დამფინანსებელი დაწესებულება ან/და დაფინანსების წყარო (ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი, სხვა):* *აღწერეთ როგორ იქნება შენარჩუნებული პროექტის საბოლოო შედეგები პროექტის დასრულების შემდეგ და ვინ/რომელი დაწესებულება/ორგანიზაცია იქნება საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელი.* • მიღწეული შედეგების შენარჩუნებისათვის საჭირო მიმდინარე ხარჯებს აანაზღაურებს ოზურგეთის ბიუჯეტი, პროგრამული კოდი 02.00; • სამუშაოს შემსრულებელი კომპანიასთან ხელშეკრულების თანახმად საექსპლუატაციო სამუშაოების ჩატარებაზე პასუხისმგებელია კომპანია 12 თვის განმავლობაში;

პროექტის იდეის მომზადების სტატუსი	*გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია პროექტის მომზადების სტატუსის შესახებ. განსაკუთრებით, გთხოვთ მიუთითოთ, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უკვე მომზადებულია თუ არა, ბიუჯეტი გამოყოფილია თუ არა და ა.შ:* **მზადდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და სრული განაცხადის მომზადების პერიოდისათვის იქნება დასრულებული საექსპერო დასკვნასთან ერთად;**
მოთხოვნილი მხარდაჭერა	*გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია მოსალოდნელი ფინანსური მხარდაჭერის მოთხოვნის შესახებ:*
ვადები	*გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის განხორციელების საორიენტაციო დრო (თვეებში):* **12 თვე**
პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი და მოთხოვნილი გრანტი	*გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის ღირებულება (ლარში), დაფინანსების წყაროები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სრიგპ-დან მოთხოვნილი გრანტის მინიმალური ოდენობა (პროცენტით):* ***1. სრიგპ – 1.541.800.00 (96.7%);*** *2. პროექტის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები -* *3. საკუთარი თანადაფინანსება –* ***მუნიციპალიტეტის მხრიდან დაგეგმილია 53.200.00 ლარის თანადაფინანსება, რომელიც გათვალისწინებულია ბიუჯეტში: პროგრამული კოდი 02.00 - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს 3.3%;*** *4. სხვა წყაროები –* **5.** *მთლიანი ბიუჯეტი –* **1.595.000.00**
პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი და საკონტაქტო მონაცემები	*გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი, თანამდებობა და საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა):* ***ალეკო მამეშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი*** ***591226622*** ***a.mameshvili@gmail.com***